საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030190939423919

№ 01-25/ო **16 / იანვარი / 2019 წ.**

სამედიცინო რაიონების მიხედვით ვალდებულებათა შესრულებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ზედამხედველობის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის № 218 დადგენილებით დამტკიცებული N3 დანართის (სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო რაიონების მიხედვით სადაზღვევო ვაუჩერის ფასის დადგენისა და მზღვეველი კომპანიის გამოვლენის წესი და უწყებათაშორისი კომისიის სხვა უფლებამოსილებები) მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ და „ჟ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამედიცინო რაიონების მიხედვით ვალდებულებათა შესრულების და ასევე ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ზედამხედველობის მიზნით, შეიქმნას უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით სერგეენკო - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) გიორგი წოწკოლაური - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მაია ლაგვილავა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

დ) ილია ბეგიაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

ე) გიორგი დუგლაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

ვ) გიორგი კაკაურიძე - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

ზ) მიხეილ სარჯველაძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;

თ) ლევან რაზმაძე - სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

ი) ირაკლი თუთარაშვილი - სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მ/შ, კომისიის წევრი;

კ) ალექსანდრე თორია - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, კომისიის წევრი;

ლ) რევაზ მაჭარაშვილი – კომისიის მდივანი.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



დავით სერგეენკო